სამედიცინო განათლება

უნივერსიტეტში

MEDICAL EDUCATION AT THE UNIVERSITY

ნინო ჩიხლაძე
ალექსანდრე ცისკარიძე
დიმიტრი კორძაია
ნატო ფიცხელაური

სამედიცინო განათლება უნივერსიტეტში

გამოცემა მოგვითხრობს საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების დაარსების ისტორიას და გვაცნობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დღევანდელ მიღწევებსა და გამოწვევებს.

წიგნი ყველა თაობისა და პროფესიის მკითხველს დააინტერესებს.

The book is devoted to the history of foundati on of higher medical educati on in Georgia and acquaints us with the recent achievements and challenges of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Medicine.

It is intended for the reader of every age and profession.

კონცეფციის ავტორი	თამარ ებრალიძე
მთარგმნელი	თინათინ ასათიანი
Author of the Concept	Tamar Ebralidze
Translator	TinatinAsa tiani

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

Released upon decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2020

ISBN 978-9941-13-924-6

წინასიტყვაობის მაგიერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი ქართული უნივერსიტეტი და პირველი ეროვნული უნივერსიტეტია კავკასიაში. ალმა-მატერის დამფუძნებლები ქართული უნივერსიტეტის დაარსების გეგმაზე მუშაობისას ორი ძირითადი პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: აღედგინათ ეროვნული საგანმანათლებლო მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და დაენერგათ თანამედროვე უნივერსიტეტის ევროპული მოდელი. ეროვნული საგანმანათლებლო ფესვები კი ასწლეულების მიღმა იღებს სათავეს, როდესაც ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე-მეოთხე საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა საყოველთაოდ ცნობილი კოლხეთის აკადემია. ცნობილია, რომ მედიცინა ისწავლებოდა გელათისა და იყალთოს აკადემიებში (XIIს.). გელათის აკადემიაში, ბოლონიის უნივერსიტეტის მსგავსად, სასწავლო პროგრამა ძირითადად ტრივიუმისა და კვადრიუმის ციკლის საგანთა შესწავლას ითვალისწინებდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების მისია ივანე ჯავახიშვილმა ითავა. ბერლინის ვილჰელმის უნივერსიტეტის პროფესორი ივანე ჯავახიშვილი საქართველოში 1917 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა 1918 წლის 8 თებერვალს (ძველი სტილით 26 იანვარს). სამედიცინო განათლების დაარსებაც საქართველოში სწორედ ამ პერიოდიდან იღებს დასაბამს. 1918 წლის 27 თებერვლის და 17 ივნისის პროფესორთა საბჭოს სხდომებზე განხილულ იქნა საექიმო ფაკულტეტის გახსნის საკითხი, ხოლო 1919 წლის 9 აპრილის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, სამკურნალო ფაკულტეტი ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ფაკულტეტი. უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებით საფუძველი ჩაეყარა როგორც უმაღლესი სამედიცინო განათლების დაარსებას, ისე მედიცინის თეორიული და კლინიკური დარგების განვითარებას საქართველოში.

ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22 000-ამდე სტუდენტი სწავლობს შვიდ ფაკულტეტზე. მედიცინის ფაკულტეტზე სწავლება მიმდინარეობს მედიცინის, სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებებით. მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედებს როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი პროგრამები. მედიცინის ფაკულტეტზე სწავლობს 1400-ამდე სტუდენტი, მათ შორის 600 საერთაშორისო სტუდენტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო პროექტში, რომელთა ფარგლებში ხორციელდება სწავლება, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ორმხრივი მობილობა, ერთობლივი კვლევები.

საამაყოა უნივერსიტეტის უკანასკნელი მიღწევები, მათ შორის: მოზიდული ეროვნული და საერთაშორისო გრანტები, გამოქვეყნებული საერთაშორისო პუბლიკაციები, პოზიცია მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2%-ში, რაც რიგით №359 ადგილს ნიშნავს (The U.S. News&World Report – Best Global Universities Ranking 2017) და მრავალი სხვა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავის წიაღშივე შექმნილ სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა თუ სამეცნიერო ცენტრებთან ერთად შექმნა მეოცე საუკუნის სახელოვანი ქართული სამედიცინო მეცნიერება და განათლება და მეორე ასწლეულში შეაბიჯა ახალი მიზნებითა და იმედებით!

ვულოცავ უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტობას, კურსდამთავრებულებსა და პროფესურას საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების დაარსების საიუბილეო თარიღს!

გიორგი შარვაშიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

18 დეკემბერი, 2018 წ., თბილისი

სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ 5

სამკურნალო ფაკულტეტი
უნივერსიტეტში (1918-1930)

1.1 უმაღლესი სამედიცინო განათლება და პირველი სამკურნალო ფაკულტეტის დაარსება საქართველოში 15

1.2 სამკურნალო ფაკულტეტის კათედრები 62

1.3 სამკურნალო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი 90

1.4 სამკურნალო ფაკულტეტის კათედრის გამგეები 106

1.5 სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკური ბაზები 116

1.6 სამკურნალო ფაკულტეტის მემკვიდრეობა 125

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის
ფაკულტეტი *(1994-2018)*

2.1 უმაღლესი სამედიცინო განათლების აღდგენა უნივერსიტეტში 131

2.2 რეფორმები უმაღლესი განათლების სისტემაში 135

2.3 სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია მედიცინის ფაკულტეტზე 140

2.4 დიპლომამდელი სამედიცინო განათლება 146

2.5 დიპლომისშემდგომი განათლება 157

2.6. მედიცინის ფაკულტეტის საერთაშორისო თანამშრომლობა 167

2.7 საქართველოში უმაღლესი განათლების დაარსების 100 წლის იუბილე 184

2.8 უნივერსიტეტში უმაღლესი სამედიცინო განათლების გამოწვევები 192

გამოყენებული ლიტერატურა 198

სახელთა საძიებელი 200